ქ. თბილისის მერიის

სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსს

ქალბატონ ნინო ღოღობერიძეს

არქიტექტორ ვასილ მაისურაძის

მცხ. ქ. თბილისი, ღრმა ღელის I ჩიხი 4

ტელ: 599 71 84 60

განცხადება

მოგახსენებთ, რომ ვარ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ფანასკერტელი 2005-პლუსი“-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და ამავე ამხანაგობის მშენებარე კორპუსის პროექტის ავტორი (ბრძანება #263160; 08. 05. 2012 წ), მდებარე ქ. თბილისში ბახტრიონისა და ფანასკერტელის ქუჩების მიმდებარე ფერდობზე. საკადასტრო კოდი #01.10.16.004.020.

ზემოთაღნიშნული პროექტის არქიტექტურული ნაწილის გაკორექტირების შემდეგ (დაემატა სართულები), ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ საქართველოს მთავრობის 57-ე დადგენილების 76-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე დამკვეთისთვის უნდა მოეთხოვა წარმოედგინა კორექტირებული კონსტრუქციული პროექტი და შესაბამისი საექსპერტო დასკვნა სართულების დაშენების შესაძლებლობის შესახებ.

მე, როგორც პროექტის ავტორმა მშენებლობის პროცესში არაერთჯერ მივმართე სამშენებლო ორგანიზაცია შ.პ.ს „MJ დეველოპერი“-ს დირექტორს ემზარ გაბეჩავას, რათა წარმოედგინა მშენებარე კორპუსის კორექტირებული კონსტრუქციული პროექტი და სათანადო საექსპერტო დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ. თუმცა უშედეგოდ, მე არც საექსპერტო დასკვნა და არც კორექტირებული კონსტრუქციული პროექტი თვალით არ მინახავს.

შესაბამისად ხელიც არ მომიწერია მასზე, როგორც პროექტის ავტორს. მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე არქიტექტურის სამსახურში ეს დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ ყოფილა. და თუ კი ჩემი ეჭვი უსაფუძვლოა, მაშინ გთხოვთ მომცეთ ზემოთაღნიშნული შენობის კორექტირებული კონსტრუქციული პროექტის (სართულების დაშენების შესაძლებლობის შესახებ) საექსპერტო დასკვნის დამოწმებული ასლი.

ცნობისთვის, ამჟამად მშნებარე (დაუმთავრებელ!!!) საცხოვრებელ კორპუსს დროთა განმავლობაში შესაძლოა შეექმნას პრობლემები კონსტრუქციული მდგრადობის თვალსაზრისით, რაზედაც სრულად ვიხსნი პასუხისმგებლობას, როგორც პროექტის ავტორი. ზემოთაღნიშნულის შესახებაც ვაცნობე თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

პატივისცემით: /ვასილ მაისურაძე/

22. 12. 2014 წ.